საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცენტრალური/საოლქო საარჩევნო კომისიები, შემდგომში - „საარჩევნო კომისიები“) 2025 წლის ანგარიში

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საარჩევნო კომისიებში სულ შემოსულია 317 მოთხოვნა.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე საარჩევნო კომისიებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის (საარჩევნო კომისიების რეგლამენტის შესაბამისად - კომისიების მდივნების) მიერ მიღებულია 236 გადაწყვეტილება. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 32 მოთხოვნა.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე 49 გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

4. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

5. საარჩევნო კომისიების მიერ საკუთარი სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

6. საარჩევნო კომისიების მიერ შეგროვებული, დამუშავებული და შენახული იქნა საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' 31-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემები. შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ 14 საჯარო მონაცემთა ბაზა იქნა სხვისთვის გაცემული, ხოლო, საანგარიშო პერიოდში, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდებოდა მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

7. საარჩევნო ადმინისტრაციაში საჯარო მოსამსახურეთა მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, არც ერთ პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

8. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 49 გადაწყვეტილებიდან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!” მიერ ერთი გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

9. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, საარჩევნო კომისიებს არ გაუწევიათ.